განკარგულება:**g-31. 3125210001**
თარიღი:**29/07/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №30

2025 წლის 29 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოსთვის“, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოს“, მისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N126-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებულ საოფისე ფართები, კერძოდ 35,70 კვ.მ.-ი N101 (ს/კ 27.06.51.005 01/101) და 17.20 კვ.მ.-ი N113 (ს/კ 27.06.51.005 01/113) ოთახები.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი